საქმის № 330216926013299962
საქმის № 2/25259-26

12148071732428

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ

22 სექტემბერი, 2026 წელი **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - დავით აკობიძე

განმცხადებელი - შპს „ფასადი ჯი“
წარმომადგენელი - გიორგი ზედგინიძე

მოთხოვნა - გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა გაკოტრების რეჟიმით

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „ფასადი ჯის“ განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2026 წლის 15 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა შპს „ფასადი ჯის“ (ს/ნ 416370055) წარმომადგენელმა, გიორგი ზედგინიძემ შპს „ფასადი ჯის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნით.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს, მიაჩნია, რომ განცხადება არ აკმაყოფილებს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რის გამოც, განმცხადებელს უნდა განესაზღვროს ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ:

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება იწყება რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის მოთხოვნით გადახდისუუნარობის

შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანით.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შეიძლება განხორციელდეს **ა)** რეაბილიტაციის რეჟიმით; **ბ)** გაკოტრების რეჟიმით.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების მოვალის მიერ შეტანის შემთხვევაში, სასამართლო, ამ განცხადების დასაშვებად ცნობის საკითხს წყვეტს მისი შეტანიდან - 7 (შვიდი) დღის ვადაში, ხოლო აღნიშნული განცხადების კრედიტორის მიერ შეტანის შემთხვევაში – მოვალისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსთვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში. ეს ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს ერთჯერადად, საკუთარი ინიციატივით, დასაბუთებული განჩინებით. გაგრძელებული ვადა არ უნდა აღემატებოდეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის საკითხის განხილვისთვის დადგენილ ვადას.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ხარვეზის არსებობის თაობაზე და განმცხადებელს შესაბამისი ხარვეზის გამოსასწორებლად მისცემს 5 (ხუთი) სამუშაო დღეს. თუ განმცხადებელი ამ ვადაში გამოასწორებს აღნიშნულ ხარვეზს და სასამართლო დაადგენს მოვალის გადახდისუუნარობას ან მოსალოდნელ გადახდისუუნარობას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

<u>განსახილველ განცხადებაში, მოვალე უთითებს, რომ იგი ითხოვს გაკოტრებას.</u>

სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს, რომ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი არეგულირებს გაკოტრების რეჟიმის გახსნის მოთხოვნით განცხადების წარდგენის წესს, რომლის 1-ლი პუნქტის მიხედვითაც, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში, რომლითაც განმცხადებელი გაკოტრების რეჟიმის გახსნას მოითხოვს, <u>მითითებული უნდა იყოს:</u> ა) იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეიტანება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება; **ბ)** განმცხადებლის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – სახელწოდება, **იურიდიული მისამართი** და საიდენტიფიკაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში); გ) **განმცხადებლის სტატუსი, ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;** დ) განმცხადებლის წარმომადგენლის **სახელი, გვარი** და მისამართი, თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება განმცხადებლის წარმომადგენელს შეაქვს;

ე) მოვალის სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში); ვ) არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ მოვალე გადახდისუუნაროა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი პირია; ზ) იმის დასაბუთება, რომ გაკოტრების რეჟიმის გახსნა აშკარად არ ეწინააღმდეგება კრედიტორთა ინტერესებს; თ) მოთხოვნა ამ კანონის 57-ე მუხლით გათვალისწინებული მორატორიუმის დამატებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). **ამავე მუხლის მე-2 პუნქტით,** გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი ინფორმაცია (რამდენადაც ეს ამ განცხადების შეტანის მომენტისთვის ცნობილია განმცხადებლისთვის): **ა) ინფორმაცია მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც მოიცავს მის აქტივებსა და ვალდებულებებს, მათ შორის, სამომავლო და პირობით ვალდებულებებს;** ბ) ინფორმაცია უზრუნველყოფის ღონისძიებით დატვირთული მოვალის ქონებისა და უზრუნველყოფილი კრედიტორების ვინაობის (სახელები, სახელწოდებები, მისამართები, საიდენტიფიკაციო ნომრები) შესახებ; **გ) ინფორმაცია მოვალის მიმართ სხვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ;** დ) მოვალის შესახებ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; ე) ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც, განმცხადებლის აზრით, მნიშვნელოვანია გაკოტრების რეჟიმის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. **ამავე მუხლის მე-3 პუნქტით,** თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება სასამართლოში მოვალეს შეაქვს, მან, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, აგრეთვე უნდა წარადგინოს: ა) **თავისი კრედიტორების სრული ჩამონათვალი (მიეთითება სახელები, სახელწოდებები, პირადი ნომრები, საიდენტიფიკაციო მონაცემები) და არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია;** ბ) საგადასახადო ვალდებულებების აღწერილობა და ინფორმაცია მათი ოდენობის, მათ შორის, დაუზუსტებელი ოდენობის, შესახებ; **გ) ინფორმაცია საწარმოს ბალანსის შესახებ, მიმდინარე შემოსავლების (მათ შორის, ყოველთვიური წმინდა შემოსავლის სახეობისა და ოდენობის) და ხარჯების აღწერილობა; დ) ამ განცხადების შეტანის მომენტისთვის საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია; ე) გადახდისუუნარობის მასის სრული ჩამონათვალი. მიეთითება საბალანსო ღირებულებები, მათ შორის, მოვალის საბანკო ანგარიშებისა და მათზე არსებული თანხების შესახებ ინფორმაცია; ვ) თავისი დებიტორული მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია; ზ) ხელშეკრულებებისა და მიმდინარე რეგულარული ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია; თ) მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია; ი) მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შემთხვევაში – მისი პარტნიორების თანხმობა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე მოთხოვნით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისთვის უდიდესი ოდენობის მოთხოვნის მქონე 3 კრედიტორისთვის შეტყობინების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი; კ)** მითითება იმის თაობაზე, რომ მას სურს გაკოტრება/აღარ აქვს ბიზნესის მიმართ ინტერესი.

<u>მოვალემ</u> უნდა დაასაბუთოს რატომ ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას და წარმოადგინოს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი

მტკიცებულებები. მოვალემ არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთოს, რომ იგი გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი პირია.

განმცხადებელმა, ზუსტად ისეთივე ფორმულირებით უნდა მიუთითოს მისი სახელწოდება და იურიდიული მისამართი განცხადებაში, როგორც იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერშია ასახული. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს მითითებული არ აქვს განცხადებაში მისი იურიდიული მისამართი.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს დაცული არ აქვს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 45.1. მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. მან უნდა მიუთითოს განცხადებაში, ამავე კანონის 43.1. მუხლის შესაბამისად განმცხადებლის სტატუსი.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის წარმომადგენელი განცხადებაში უთითებს მის სახელსა და გვარს გიორგი ზედგ**ი**ნიძეს, ხოლო მინდობილობა გაცემულია გიორგი ზედგ**ე**ნიძეზე. ამ გვარად, ეს ფაქტორიც გამოსასწორებელია.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მიხედვით, გადახდისუუნარობის მასა მოიცავს მოვალის მთელ ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის, ამ მომენტიდან შეძენილ/მიღებულ/წარმოებულ ქონებას, მათ შორის, გადაცემად ლიცენზიებსა და ნებართვებს, აგრეთვე ამ კანონის VIII თავის შესაბამისად მოვალისთვის დაბრუნებულ ქონებას როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლების გარეთ.

ზემოაღნიშნული ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სრული ინფორმაცია მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც მოიცავს მის აქტივებსა და ვალდებულებებს, მათ შორის, სამომავლო და პირობით ვალდებულებებს.

მოცემულ შემთხვევაში, მოვალეს წარმოდგენილი არ აქვს ინფორმაცია მოვალის მიმართ სხვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ.

განცხადებას არ ერთვის საწარმოს მხრიდან გაცემული ცნობა, სადაც მითითებული იქნება კრედიტორების სრული ჩამონათვალი სახელები, სახელწოდებები, პირადი ნომრები, საიდენტიფიკაციო მონაცემები. ასევე, ინფორმაცია საწარმოს ბალანსის შესახებ, მიმდინარე შემოსავლების (მათ შორის, ყოველთვიური წმინდა შემოსავლის სახეობისა და ოდენობის) და ხარჯების აღწერილობა.

განცხადებას არ ერთვის, ამ განცხადების შეტანის მომენტისთვის საწარმოში

დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

<u>მოცემულ შემთხვევაში,</u> მოვალეს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ სს „საქართველოს ბანკის“ ამონაწერი, რაც არ არის საკმარისი ამ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 45.3. მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის. <u>ყოველივე აღნიშნული დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით, რომ განმცხადებელს სხვა ბანკში არ გააჩნია ანგარიშები.</u>

<u>მოცემულ შემთხვევაში,</u> განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ცნობა თავისი დებიტორული მოთხოვნების შესახებ და ხელშეკრულებებისა და მიმდინარე რეგულარული ვალდებულებების შესახებ.

<u>განცხადებას აგრეთვე არ ერთვის,</u> მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 45.3. მუხლის „ი“ ქვეპუნტქის თანახმად მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შემთხვევაში – მისი პარტნიორების თანხმობა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე მოთხოვნით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისთვის უდიდესი ოდენობის მოთხოვნის მქონე 3 კრედიტორისთვის შეტყობინების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. <u>მოცემულ შემთხვევაში, 3 კრედიტორისთვის გადახდისუუნარობის გახსნის თაობაზე განცხადების შეტანის თაობაზე შეტყობინების გაგზავნის დოკუმენტი არ ერთვის განცხადებას.</u>

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში (საქმე №2ბ/1597-25) აღნიშნა - „მოხმობილი სპეციალური კანონის 45.3 ნაწილი შეიცავს სპეციალურად მოვალე განმცხადებლის მიერ ინიცირებული განცხადების სავალდებულო ელემენტებს, როგორიცაა კრედიტორთა მონაცემებისა და მათი დავალიანების შესახებ. განმცხადებელი ხარვეზის შესახებ მიუთითებს საგადასახადო ვალდებულების არსებობის შესახებ, თუმცა შემოსავლების სამსახური, როგორც კრედიტორი საერთოდ არ იძებნება შესაბამის ჩამონათვალში. ინფორმაცია ბალანსის შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს, არა განმცხადებლის წარმომადგენლის თხრობითი და წერილობითი სახის ახსნა-განმარტების გზით, არამედ სათანადო მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს. დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაციასაც მხარე იძლევა ზეპირსიტყვიერად, ისე რომ რაიმე სახის ცნობა საწარმოს დირექტორის ხელმოწერით შესაბამის ბლანკზე შესრულებული ან რაიმე ხელშესახები მტკიცებულების წარდგენის გარეშე. მოვალე განმარტავს, რომ მას რაიმე სახის ქონება არ გააჩნია, თუმცა ამის დასადასტურებლად ცნობები მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირის რეესტრიდან წილების ფლობის ან საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების ფლობის შესახებ ცნობები არ ერთვის საქმეს. განცხადებას არ ერთვის შსს-ს მომსახურების სააგენტოდან ინფორმაცია

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების უფლების შესახებ“.

<u>მოცემულ შემთხვევაში,</u> განმცხადებელს წარმოდგენილი არ აქვს ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოდან, მის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ.

შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს, არა განმცხადებლის წარმომადგენლის თხრობითი და წერილობითი სახის ახსნა-განმარტების გზით, არამედ უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებით.

<u>ამასთან, სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებელი, ზოგიერთ შემთხვევაში განცხადებას აფუძნებს მხოლოდ მის ახსნა-განმარტებებს, ხოლო შესაბამისი დასაბუთება/მტკიცებულებები არ აქვს წარმოდგენილი, რაც ეწინააღმდეგება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს</u>.

სასამართლო აღნიშნავს, რომ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, რამდენადაც ეს ცნობილია განმცხადებლისთვის, არის ზუსტი და ამომწურავი, მიმართულია ისეთ შემთხვევის მიმართ, როდესაც სასამართლოში განცხადება შეაქვს კრედიტორს, რომლისთვისაც შესაძლოა ცნობილი არ იყოს ზუსტი ინფორმაცია, <u>მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გაკოტრების რეჟიმით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების განცხადებით მიმართავს უშუალოდ მოვალე, იგი ვალდებულია სიმართლესთან შესაბამისობის დეკლარაციაში მიუთითოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია, იმის გათვალისწინებით, რომ იგი უშუალოდ ფლობს განცხადებაში მითითებულ ინფორმაციას,</u> განსხვავებით კრეტიტორისაგან. ამდენად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დეკლარაციის შემცველი ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია/განცხადება <u>(სიმართლესთან შესაბამისობის დეკლარაცია)</u>.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო განმარტავს, რომ დარღვეულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის რიგი მოთხოვნები, რის შესაბამისადაც, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლისათვის საპროცესო ვადის განსაზღვრა აღნიშნულ ხარვეზთა შესავსებად.</u>

სასამართლომ იხელმძღვანელა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონის მე-6, მე-7, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-9, მე-19, 45-ე, 47-ე, 48-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. შპს „ფასადი ჯის“ (ს/ნ 416370055), განჩინებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს განჩინების გამოქვეყნებიდან **05** (ხუთი) სამუშაო დღის ვადა;

2. განემარტოს განმცხადებელს, რომ თუ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე;

3. განჩინება გამოქვეყნდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (ვებ-გვერდზე www.ecourt.ge);

4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეს, რომლის მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირს, რომელსაც უშუალოდ ეხება ეს განჩინება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (ვებ-გვერდზე www.ecourt.ge) მისი გამოქვეყნებიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, №64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე **დავით აკობიძე**